ოქმი:**ო63.6322083001**
თარიღი:**24/03/2022**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 6

ქ. სამტრედია. 18 მარტი, 2022 წელი.

2022 წლის 18 მარტს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, ზაზა ადეიშვილი (ონლაინ ჩართვა), დავით ჯანელიძე, გოჩა არველაძე, პაატა კოხრეიძე, ილია მჟავია, ჯონი თევზაძე, ბექა თევზაძე, ლიზა კრავეიშვილი, ჯონი ახობაძე, მაია ტალაბაძე, ბადრი შენგელია, ლელა ჩორგოლაშვილი, გრიგოლ ჩიგოგიძე, გიორგი გაგუა, გივი ჯულაყიძე, კობა ძიძიგური (ონლაინ ჩართვა), ემზარ შუბლაძე, დავით ნიკოლეიშვილი (ონლაინ ჩართვა), აკაკი მინაშვილი, ავთანდილ თადუმაძე, ქეთევან კუტალაძე, მარიამ ბარბაქაძე (ონლაინ ჩართვა), ლაშა გრიგოლია.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. ა.(ა).ი.პ "სახლი თანადგომა"_ს ხელმძღვანელი, ზემინარ ბოხუა, ბუღალტერი, ნანული კიკაბიძე.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი დავით ბაღდავაძე.

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ნოე ივანიაძე;

4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის სპეციალისტი, გიორგი ხაჟალია.

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ბეჟან გეგეშიძე.

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ნორა იანიკოვი.

7. შ.პ.ს. ,,სამტრედიის მაცნე''-ს კორესპოდენტი, თეა ბაბუნაშვილი.

8. ადგილობრივი ტელევიზიის, ტელეკომპანია ,,ზარი''-ს, წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სხდომას, ონლაინ რეჟიმში, ჩაერთვნენ საკრებულოს წევრები: კობა ძიძიგური, ზაზა ადეიშვილი, დავით ნიკოლეიშვილი და მარიამ ბარბაქაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი 17 პროექტის მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია./

2. ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე, 7050.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულებს მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.291) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია./

3. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

4. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო საწყისი **ფასი**სა და სარგებლობის ქირის ოდენობის დადგენის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 24 თებერვლის №8 დადგენილების, ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე**.**

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

5. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 სექტემბრის №39 დადგენილების, ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე**.**

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

6. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის დებულების **დამტკიცების** შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**.**

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

7. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის

დებულების დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

8. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

9. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა დამატებითი **საკვალიფიკაც**იო მოთხოვნების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 6 ოქტომბრის №34 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

10. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის "სახლი თანადგომა"_ს 2022 წლის კვების პროდუქტების კვირეული ნორმების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე.

თანამომხსენებელი: გ.არველაძე./

11. სხვადასხვა

კენჭი ეყარა დღის წესრიგს წარმოდგენილი სახით.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, (33 ხმით) დამტკიცდა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი 17 პროექტის მოწონების შესახებ’’.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად მოწონებულ იქნას, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი 17 პროექტი (დანართი №1 თან ერთვის).

დანართი №1

ინფორმაცია

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად,

სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი პროექტების

შესახებ

№	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება (ლარი)		შენიშვნა (რეგიონალური ფონდიდან მოთხოვნილი თანხა)
		სულ	მ.შ. თანადაფინანსება	
	1	2	3	
1	სოფ. ნაბაკევში ქუთათელაძის ქუჩის გაგრძელებაზე ასფალტ -ბეტონის საფარის მოწყობა.	83080	4154	78926
2	ქ. სამტრედიაში ,,ჯეოჰოსპიტალი“-ს მიმდებარე ავტოსადგომისა და ტროტუარის რეაბილიტაცია.	27781	1390	26391
3	ქ. სამტრედიაში, კრავეიშვილების ქუჩაზე ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა.	56707	2836	53871
4	ქ. სამტრედიაში ფანჯიკიძის ქუჩის გაგრძელებაზე ასფალტ -ბეტონის საფარის მოწყობა.	19106	956	18150
5	ქ. სამტრედიაში, რობაქიძის ქუჩის მე-3 შესახვევში ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა.	24693	1235	23458
6	საჯავახოს ადმინისტრაციულ ერთეულში N3 გზაზე ასფალტ- ბეტონის საფარის მოწყობა.	51352	2568	48784
7	ქ. სამტრედიაში, დუნდუას ქუჩაზე N1 და N1ა ეზოების მოასფალტება.	55498	2775	52723
8	ქ. სამტრედიაში, აღმაშენებლის ქუჩაზე N314 ბინის ეზოს მოასფალტება.	21623	1082	20541
9	ქ. სამტრედიაში, ნინოშვილის ქუჩის N53 ბინის ეზოს მოასფალტება.	54411	2721	51690
10	ქ. სამტრედიაში, რუსთაველის N16 ბინის მიმდებარედ მოსაცდელებისათვის დეკორატიული ფილებისა და ბორდიურების მოწყობა.	23974	1199	22775
11	ქ. სამტრედიაში, ნიკოლეიშვილის N155ა-ს მიმდებარედ ფეხბურთის სტადიონის რეაბილიტაცია.	50169	2509	47660
12	ქ. სამტრედიაში, მანჯგალაძის ქუჩაზე არსებული სტადიონის რეაბილიტაცია.	77550	3878	73672
13	დაბა კულაშში მეგობრობის ქუჩაზე არსებული მინი სტადიონის რეაბილიტაცია.	108953	5448	103505
14	,,მომავლის პარკში“ საზოგადოებრივი საპირფარეშოს მოწყობა.	35933	1797	34136
15	ქ. სამტრედიაში, ბახტაძისა და ჩეხოვის ქუჩის კვეთაზე მონოლითური ბეტონის სანიაღვრე არხის და ლითონის ცხაურის	4953	248	4705

	მოწყობა.			
16	ქ. სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩაზე რუსთაველის ქუჩის კვეთამდე არსებული არხის გაფართოება.	25178	1259	23919
17	ქ. სამტრედიაში, კალაძის ქუჩის ბოლოდან ქვესადგურის ტერიტორიის და გრიბოედოვის ქუჩის გავლით ე.წ. ,,გაცის“ შენობის მიმდებარედ მთავარ არხამდე ახალი წყალგამტვირთელი სანიაღვრე არხის მოწყობა.	58054	2903	55151

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის მე-3 და მე-14 პუნქტებში მოხდა ტექნიკური ხარვეზის გასწორება. კერძოდ, ,,კრავეიშვილის ქუჩის'' ნაცვლად, ჩაიწერა ,,კრავეიშვილები''-ს ქუჩა. ხოლო ,,ტუალეტის'' ნაცვლად, ,,საპირფარეშო''.

აზრი გამოთქვეს: ემზარ შუბლაძემ, დავით ჯანელიძემ, აკაკი მინაშვილმა, გივი ჯულაყიძემ.

ემზარ შუბლაძე - წლების განმავლობაში არა ერთხელ ვითხოვე ქალაქის ცენტრალური შემოსასვლელიდან, სოხუმის ქუჩაზე განათების სისტემის მოწყობა. ეს ჩვენი ქალაქის სახეა და ვფიქრობ ყურადღება მისაქცევი. ცხენისწყლის გადაღმა, მარანის ტერიტორია განათებულია და უახლესი ტექნოლოგიითაა დამონტაჟებული, ხოლო ხიდის აქეთა ნაწილში კი განათება საერთოდ არ არის. ამბობთ, რომ ეს საგზაო დეპარტამენტის მოსაგვარებელიაო, მაგრამ განათება თავიდან ბოლომდე გაკეთდა ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსებით, წელს კიდევ დაემატა იანეთის, სოკარის ბენზო-გასამართი სადგურიდან სასაფლაომდე მისასვლელი განათების საკითხი. არგუმენტი გაქვთ ერთი, რატომ შენი ხელმძღვანელობის დროს არ გააკეთეო, მაშინ არ იყო საშუალება და ვერ მოხერხდა. მოგეხსენებათ, ბატონი დავით ჯანელიძე, არის ჩვენი უბნის მაჟორიტარი და იმედია დაინტერესდება ამ პრობლემით.

დავით ჯანელიძე - ძალიან ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი ჩემს სამაჟორიტარო უბანში. წერილობითი მიმართვები ჩემი მხრიდან გაგზავნილი არის, როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ისე საგზაო დეპარტამენტის მიმართ. საკითხი ეხება არა მარტო განათებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, არამედ, მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მოსაცდელების მოწესრიგების საკითხს. მე გაძლევთ პირობას, რომ განათება სოხუმის ქუჩაზე უმოკლეს ვადებში გაკეთდება. თუმცა თქვენს ადგილას, მე წინ წამოვწევდი არხებთან დაკავშირებულ პრობლემას. იტბორება მოსახლეობა და ძალიან რთულ მდგომარეობაში არიან. მიუხედავად იმისა, რომ შევიყვანეთ ტექნიკა, 250 გრძივი მეტრი არხიც გავჭერით, მაგრამ ჯერ-ჯერობით პრობლემას ბოლომდე მაინც ვერ ვაგვარებთ. კარგია სკვერების და სტადიონების მშენებლობა, მაგრამ უდიდესი პრობლემაა, სანიაღვრე არხების მოწესრიგება. ჩემი მხრიდან ჩართული ვარ ამ პრობლემების მოგვარების საქმეში.

აკაკი მინაშვილი - გზების დაგებისა და რეაბილიტაციის დროს უპირველეს საქმეს წარმოადგენს არხების გაწმენდა და მოწესრიგება. ვეკუას ქუჩაზე დაიგო ასფალტი, თუმცა სანამ ასფალტის დაგება დაიწყებოდა უნდა გაკეთებულიყო არხი. ეს ქუჩა არის ძალიან ვიწრო. ერთ მხარეს არის მოსახლეობა, ხოლო მეორე მხარეს რკინიგზის ლიანდაგი. წვიმების დროს ნალექს წასასვლელი არა აქვს და ყველა მოედინება მოსახლეობაში. ადრე იქ არხი იყო, მაგრამ ბოგირია ჩანგრეული და გასასვლელი არის დაკეტილი. ბოგირი ამოსაღებია, მაგრამ იქ გადადის დიდი ტევადობის მანქანები და ხშირად ინგრევა. ბარათაშვილის ქუჩა უნდა გაკეთებულიყო და რა ხდება არ ვიცი. მოწონებული არის პროექტი, მაგრამ არ გაკეთებულა. ლაშა თევზაძის ქუჩაზე 4 ბინის მიმდებარედ სტადიონი უნდა გაკეთებულიყო. იგეგმებოდა ,,ნოხის'' დაგება და როგორ არის საქმე ჩემთვის უცნობია. ასევე მაინტერესებს სავარჯიშო მოწყობილობების მონტაჟი გაგრძელდება თუ არა 2022 წელს? ვთვლი, რომ თავიდანვე არ მოხდა მათი გადანაწილება სწორად. ,,ნახალოვკაში'' ორი დიდი უბანია, ამასთან ნაჩხატაური და ნაფაღაური შერწყმულია ამ

უბნებთან, რა მოხდებოდა ერთი კომპლექტი ე.წ. ბოინის ტერიტორიაზე რომ დამონტაჟებულიყო, მაშინ როცა გამარჯვების ქუჩაზე დამონტაჟდა 3 ერთეული კომპლექტი. მსგავსი საკითხების გადანაწილების დროს, როცა ასეთი რამ კეთდება, საჭიროა მაჟორიტარი დეპუტატების ჩართულობა. ვთვლი, რომ ასეთი რაღაცეები უნდა იყოს გამოსწორებული.

გიორგი ხაჟალია - რაც შეეხება გამარჯვების ქუჩას, განგიმარტავთ, რომ თქვენს მიერ ხსენებულ სტადიონზე ახლახან დაიგო ასფალტი. ხოლო ასფალტზე ,,ნოხი'' არ გადაეგება. ასევე იგეგმება ბარათაშვილის ქუჩის მოწესრიგებაც.

გივი ჯულაყიძე - აქ ითქვა, რომ ასფალტი იგება და არხი არ კეთდებაო, რასაც საკრებულოს წევრებიც დაეთანხმა. ბატონო ნუგზარ, მე, ინიციატივით მოგმართეთ, ყველა პროექტი, რომელიც გავა საკრებულოზე, სანამ დამტკიცდება მანამ იყოს ჩართული ინფრასტრუქტურის კომისიის წევრები. მესამე კომისიამ ჩაიარა, მე-4 საკრებულოს ვატარებთ და ჩემი ინიციატივა ისევ დარჩა ფურცელზე დაეწრილი. ვერ მოვახერხეთ ჩვენ შეხვედრა ამ ფორმატში. ეს საქმე ინფრასტრუქტურის სამსახურისთვისაც კარგია, იქედან გამომდინარე რომ დამატებითი ცოცხალი რესურსი ყავს, რომელიც დაეხმარება საქმის კეთებაში. ბატონმა ვალერიანემ ასეთი არგუმენტი დაასახელა, რომ ჩვენ არა ვართ პროფესიონალები ამ საქმეში და ვერ ჩავერევითო. ბევრი შეიძლება არ იყოს მშენებელი, ინჟინერი, მაგრამ დიდი ცოდნა არ უნდა იმის დადგენას, რომ დავამტკიცოთ ჩვენს მიერ მოწონებული და დამტკიცებული პროექტის განხორციელება იწვევს ფინანსების არამიზნობრივ ხარჯვას, საქმე იმაშია, რომ გზის დაგებამდე მოსაწესრიგებელია წყალსაწრეტი არხები, რადგან გზას წყალი არ შეუდგეს და მისი ექსპლუატაციის ვადა ნაცვლა 8-10 წლის, არ გახდეს 3-4 წელი. პროექტის დამტკიცებამდე უნდა მოხდეს აქტიური ჩართულობა და პროექტის მიზანმიმართულად დაგეგმვა. ჩვენი ჩართულობა იმასაც გამოიწვევს, რომ პასუხისმგებლობა მარტო ამ სამსახურს კი არ დაეკისრება, არამედ ჩვენ ვიქნებით დამნაშავეები იმ საქმეში, რაც კარგად არ გაკეთდება. კიდევ ერთი შეკითხვა მაქვს მნიშვნელოვანი თქვენთან ბატონო ნუგზარ. თქვენ, როგორც ყოფილ პედაგოგს, გამოცდილს და დამსახურებულს რა უფრო პრიორიტეტულად მიგაჩნიათ - სტადიონის მშენებლობა სოფელში თუ საბავშვო ბაღის მშენებლობა, როდესაც სოფელს ბაღი არა აქვს. სად დახარჯავდით ფულს?

ნუგზარ ჯამბურია - დაუფიქრებლად გიპასუხებთ, რომ იქ, სადაც იწყება ჩვენი ხვალინდელი დღე.

გივი ჯულაყიძე - გეთანხმებით, აქედან გამომდინარე, გვიჩნდება შანსი იმისა, რომ მოვიკლოთ სტადიონის მშენებლობაზე გამოყოფილი თანხები, გავაკეთოთ პროექტი და დავიწყოთ ბაღის მშენებლობა სოფელ დაფნარში. იქ ბავშვთა რაოდენობა საკმარისზე მეტია. 2019 წელს ბაღის მშენებლობის პროექტი გაშვებულია მოწონებაზე, ნაბაკევის ბაღთან ერთად. ბატონ ვალერიანეს მინდა მივმართო, რომ ეძლევა შანსი შეასრულოს პირობა, რომელიც 2021 წელს მისცა მოსახლეობას, რომელიც სამწუხაროდ ვერ შესრულდა. კერძოდ, საქმე ეხება დაფნარში საბავშვო ბაღის მშენებლობას.

ვალერიანე ფოცხვერია - რა თქმა უნდა დაპირება იყო, მაგრამ დაფნარში ერთი ნაწილი როცა ითხოვდა ბაღის მშენებლობას, მეორე ნაწილი ითხოვდა პარკის და სკვერის გაკეთებას. ამიტომ ვერ გადაწყდა ეს საკითხი. რაც შეეხება ნაბაკევში ბაღის მშენებლობას, იქ ბაღი იყო ამორტიზირებულ მდგომარეობაში და შეიძლებოდა ნებისმიერ დროს ჩამონგრეულიყო და ბავშვები მოყოლილიყო ნანგრევებში. ამიტომ პრიორიტეტი მიენიჭა ახალი ბაღის მშენებლობას ნაბაკევში.

ტარიელ ცომაია - მინდა მოვუწოდო პოზიციას და ოპოზიციას, გთხოვთ, მაქსიმალურად ჩაერთეთ კომისიის მუშაობაში. ჩავატარე კომისიის სხდომა და არც ერთი ოპოზიციის წარმომადგნელი არ ესწრებოდა, ონლაინ ჩაგვერთო გივი ჯულყიძე. ეხლა მიმდინარეობს სოფლის პროგრამით განსახორციელებელი პროექტების შერჩევა. ვითხოვ, სოფლის მაჟორიტარების მაქსიმალურ მონაწილეობას, ყველა თქვენ ვალდებული ხართ ბოლომდე გაიაროთ საკითხები სანამ დამტკიცდება, მერე ვერ შევცვლით ვერაფერს.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 33-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (33 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ..საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი 17 პროექტის მოწონების შესახებ''.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე, 7050.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულებს მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.291) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ''.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, **2022 წლის 16 მარტის N** 62-622207577, **წერილობითი** მომართვა, რომელიც ეხება, ,,ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე 7050.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.291) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის საკითხს.

აღინიშნა, რომ ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 15 მარტის №6/14326 მომართვისა და ა.(ა.)ი.პ. - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 2022 წლის 11 მარტის №102 მიმართვის მიხედვით, ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე 7050.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე იგეგმება საფეხბურთო ცენტრის მშენებლობა, რომლის ფარგლებშიც მოეწყობა სტანდარტული ხელოვნურსაფარიანი მოედანი, განათება, გულშემატკივართა ტრიბუნა და ტექნიკური შენობა. (გასახდელით, საშხაპეებით, მსაჯთა ოთახით.).

აღნიშნული მომართვების მიხედვით, ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე, 7050.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.291), უნდა გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24–ე მუხლის მე–2 პუნქტის, 108–ე მუხლის, ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 15 მარტის №6/14326 მომართვისა და ა.(ა.)ი.პ. - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 2022 წლის 11 მარტის №102 მიმართვის შესაბამისად, განიხილა ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე 7050.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.291) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის საკითხი და გადაწყვიტა, ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე, 7050.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.291) სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცეს საკუთრებაში.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 33-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (33 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე, 7050.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულებს მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.291) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ''.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომელშიც განხორციელდა მცირედი ცვლილება, კერძოდ, პროექტის პირველი პუნქტიდან ამოღებული იქნა სიტყვა ,,მოთუთუებული'', ვინაიდან კომისიამ და ბიურომ მიზანშეწონილად მიიჩნიეს ბინებზე გადახურვის მონტაჟი განხორციელდეს ზოგადად, თუნუქის საფარით. ასევე პროექტის მე-7 პუნქტში, რომელიც ეხება, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ამხანაგობისთვის, სარდაფებში დამდგარი წყლის ამოსატუმბი მოწყობილობების შეძენა-გადაცემის საკითხს, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცის დამზადება არ ესაჭიროება. ეს წინადადებაც პროექტიდან ამოღებულია. შესაბამისად, განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, დამტკიცდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის 2022 წლის პროგრამა .

დანართი №1

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ,,ბინათმესაკუთრეთა

ამხანაგობის განვითარების 2022 წლის ხელშეწყობის პროგრამა"

№	ღონისძიებების დასახელება	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია/ სახარჯთაღრიცხვო ღირებულების პროცენტული წილი
1	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მცხოვრებთათვის დაზიანებული სახურავის (ბრტყელი ქანობიანი) კაპიტალურად შეკეთებისათვის ჩასატარებელი სამუშაოები, რომელიც გულისხმობს ბრტყელი გადახურვის შემთხვევაში, დაზიანებული სახურავის დემონტაჟს, ცემენტის რთული ხსნარით მოწყობას(მოჭიმვას), ორი ფენა ჰიდროსაიზოლაციო მასალით სახურავის მოწყობას (სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები არ განხორციელდება ვიდრე ის არ გათავისუფლდება წყლის ავზებიდან და სხვა მოწყობილობებიდან); ქანობიანი სახურავის შემთხვევაში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული ხის მასალის შეცვლა (სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს", ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული დასკვნის გათვალისწინებით), გადახურვის დემონტაჟი, ახლით მონტაჟი თუნუქის საფარით, საჭიროების შემთხვევაში სავენტილაციო და საბუხრე არხების აგურის წყობის აღდგენა და შემოსვა ფურცლოვანი თუნუქით, არსებული თუნუქის სახურავის შეღებვითი სამუშაოები (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში არ უნდა ჰქონდეს ნასარგებლები აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გადასახური მასალით).	სრულყოფილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცის (თანმდევი ექსპერტიზით) დამზადებას უზრუნველყოფს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა საკუთარი ხარჯებით. თანადაფინანსება: 95% - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია. 5% - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა.
	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია, რომელიც გულისხმობს: სადარბაზოების შესასვლელი რკინის, საკეტიანი და შვეიცარიანი კარებების მონტაჟს; სადარბაზოში	სრულყოფილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცის

2	კარებამდე მისასვლელი პანდუსის მოწყობას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის; სადარბაზოს კარებამდე მისასვლელი კიბეებისა და ამორტიზირებული კიბეების კონსტრუქციის სრულ, ან ნაწილობრივ რეაბილიტაციას; შესასვლელის გადახურვის კონსტრუქციისა და ბაქანის რეაბილიტაციას; მეტალოპლასტმასის ფანჯრების ჩასმას და სადარბაზოებში არსებული წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაციას. სადარბაზოს კეთილმოწყობის სამუშაოები განხორციელდება მხოლოდ იმ ბენათმესაკუთრეთა ამხანაგობისათვის, რომლებსაც მოწესრიგებული აქვთ საცხოვრებელი სახლის სახურავი.	(თანმდევი ექსპერტიზით) დამზადებას უზრუნველყოფს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა საკუთარი ხარჯებით. თანადაფინანსება: 95% - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია. 5% - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა.
3	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების შიდა რეაბილიტაცია, რომელიც გულისხმობს; სადარბაზოს დაზიანებული კედლებისა და ჭერის შელესვა-შეღებვას; დაზიანებული კიბის საფეხურების აღდგენას; მოაჯირების გამაგრება-შეღებვას; კიბის ბაქნების მოჭიქული ფილებით მოპირკეთებას; სადარბაზოს შიდა სენსორული განათების მოწყობას (ინდივიდუალურად, პირად დენის მრიცხველზე დაერთებით); სხვენში ასასვლელი ლუქის, სახურავზე გასასვლელი და სარდაფში ჩასასვლელი კარების შეკეთება-აღდგენას (აუცილებლობის შემთხვევაში ახლის მოწყობა); სადარბაზოს შესასვლელი რკინის კარების მონტაჟს (საკეტით და შვეიცარით); მელატოპლასტმასის ფანჯრებისა და ვიტრაჟების მოწყობას; სადარბაზოს შიგა წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაციას (ან გარეთ გატანას); სადარბაზოში გამავალი სხვადასხვა საკომუნიკაციო სადენების (ტელეფონი; ტელევიზია; ინტერნეტი და სხვა) კანალ-არხებში მოთავსებას; სადარბაზოში კარებამდე მისასვლელი კიბეებისა და შესასვლელის გადახურვის, კონსტრუქციისა და ბაქნის რეაბილიტაციას; სადარბაზოს კეთილმოწყობის სამუშაოები განხორციელდება მხოლოდ იმ ბენათმესაკუთრეთა ამხანაგობისათვის, რომლებსაც მოწესრიგებული აქვთ საცხოვრებელი სახლის სახურავი.	სრულყოფილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცის (თანმდევი ექსპერტიზით) დამზადებას უზრუნველყოფს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა საკუთარი ხარჯებით. თანადაფინანსება: 95% - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია. 5% - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა.
4	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია.	სრულყოფილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცის (თანმდევი ექსპერტიზით) დამზადებას უზრუნველყოფს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა საკუთარი ხარჯებით. თანადაფინანსება: 95% - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია. 5% - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა.
	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების წყალსაწრეტი მილებისა და პარაპეტების რეაბილიტაცია.	სრულყოფილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცის (თანმდევი ექსპერტიზით)

5		დამზადებას უზრუნველყოფს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა საკუთარი ხარჯებით. თანადაფინანსება: 95% - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია. 5% - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა.
6	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების ფურნიტურის მოწყობა (საბავშვო ატრაქციონების, დასასვენებლად განკუთვნილი ფანჩატურის, მარტივი ტიპის სტაციონარული ,,ტრენაჟორების მოწყობა, ძელსკამების შეძენა-მონტაჟი.	ამხანაგობის მოთხოვნის საფუძველზე, სრულყოფილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადებას უზრუნველყოფს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია საკუთარი ხარჯებით. თანადაფინანსება: 95% - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია. 5% - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა.
7	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარდაფებში დამდგარი წყლის ამოსატუმბი მოწყობილობების შეძენა-გადაცემა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ამხანაგობებისათვის.	თანადაფინანსება: 95% - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია. 5% - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა.

აზრი გამოთქვა: ვაჟა სტურუამ.

ვაჟა სტურუა - 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის (ს.რ.ი.გ.პ.) ფარგლებში, 2022 წელს გამოცხადებულ კონკურსში წარდგენილი გვაქვს საპროექტო იდეები, რომელიც ეხება ხ.დ.კ.-ს დასახლებაში სანიაღვრე არხების, ტროტუარების, მოსაცდელების და საერთო სარგებლობის სივრცეების კერძო სარგებლობის სივრცეებთან გამყოფი ზოლების (ღობეების) მოწყობას, კოსტავას ქუჩაზე მდებარე სკვერის და მიმდებარე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას. აღნიშნული პროექტის განხორციელებისას ხდება 7 საერთო საცხოვრებელი ბინის სრული რეაბილიტაცია. შესაბამისად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის პროგრამით მოგვარებული უნდა იყოს ყველა ის პუნქტი, რომელიც წარმოდგენილია პროექტში. უცხოელების დაფინანსებით და ჩვენი ჩართულობით უნდა მოგვარდეს ყველა ის პრობლემა რაც ხ.დ.კ.-ს დასახლებაში არსებულ კორპუსებს და ტერიტორიას გააჩნია.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 33-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, შესაბამისი შესწორებით, (33 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო საწყისი ფასისა და სარგებლობის ქირის ოდენობის დადგენის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 24 თებერვლის №8 დადგენილების, ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე''.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, **2022 წლის 16 მარტის** N62-622207549 **წერილობითი** მომართვა, რომელიც ეხება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქონების საპრივატიზებო საწყისი ფასისა და სარგებლობის ქირის ოდენობის დადგენის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 24 თებერვლის №8 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხს. მუნიციპალიტეტი ხელმძღვანელობს ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის, მე-2 პუნქტის „ნორმატიული აქტების შესახებ", საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ''-ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო საწყისი ფასისა და სარგებლობის ქირის ოდენობის დადგენის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 24 თებერვლის №8 დადგენილება. (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 110301064, 16/03/2011. სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.120.016026).

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 33-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (33 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო საწყისი ფასსა და სარგებლობის ქირის ოდენობის დადგენის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 24 თებერვლის №8 დადგენილების, ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე''.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 სექტემბრის

№39 დადგენილების, ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე''.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, **2022 წლის 16 მარტის** N 62-622207550, **წერილობითი** მომართვა, რომელიც ეხება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, სარეზერვო ფონდის ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 სექტემბრის №39 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხს. ამჟამად მოქმედებს ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბრის №42 დადგენილება.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის, მე-2 პუნქტის „ნორმატიული აქტების შესახებ", საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ''-ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 სექტემბრის №39 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებ-პორტალი, 25. 09. 2015. სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.120.016180).

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 33-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (33 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 სექტემბრის №39 დადგენილების, ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე''.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი. კერძოდ ცვლილებები განხორციელდა შემდეგ მუხლებში:

1. **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის დებულების პირველი მუხლის პირველი პუნქტში.**

,,1. მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური (ტექსტში შემდგომ – სამსახური) არის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებას ეკონომიკური განვითარების მიზნით ინვესტიციების დაგეგმვის, ინვესტორებთან თანამშრომლობის, შესაბამისი საინვესტიციო

პროგრამებისა და პროექტების მომზადების საკითხებზე; ეკონომიკური განვითარების დასაგეგმად საჭირო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება-დამუშავებას; მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საწარმოთა წილების, აქციების, ფასიანი ქაღალდების აღრიცხვას, ინვენტარიზაციას, მუნიციპალური ქონების მონაცემთა ბაზის შექმნასა და განახლებას; მუნიციპალიტეტის ქონების მართვას; წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადებას მუნიციპალიტეტის ქონებისათვის კატეგორიის შეცვლის თაობაზე; წინადადებების მომზადებას მუნიციპალური ქონებით სარგებლობისა და განკარგვის საკითხებზე; წინადადებების და საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას მუნიციპალური ქონების შექმნის, შეძენის, პრივატიზების ან სარგებლობაში გადაცემის საკითხებზე; ზედამხედველობას მუნიციპალური ქონების დაცვაზე, მოვლა-პატრონობაზე, მართლზომიერ სარგებლობასა და განკარგვაზე; მუნიციპალიტეტის მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოებში პარტნიორის, აქციონერის უფლება-მოვალეობათა განხორციელებას; სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ სარგებლობაში გაცემული ქონების ქირის გადახდის ყოველთვიური მონიტორინგი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე; სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ სარგებლობაში გაცემული ქონების ხელშეკრულების პირობების მონიტორინგი; ქირის გადაუხდელობის ან/და ხელშეკრულების სხვა პირობების შემთხვევაში მოსარგებლის გაფრთხილება, როგორც წერილობითი მიმართვით, ასევე კომუნიკაციის სხვა საშუალებებით; სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ სარგებლობაში გაცემული ქონების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების, მათ შორის ქირის გადაუხდელობის, შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტის წინადადების და საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენა; სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ პირობებით პრივატიზებული ქონების საპრივატიზებიო პირობების მონიტორინგი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი დარგობრივი სამსახურის/სამსახურების ჩართულობით; სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ პირობებით პრივატიზებული ქონების საპრივატიზაციო პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტის წინადადების და საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენა; სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი, დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის სასოფლო-სამეურნეო კულტურის წარმოების ტექნოლოგიების შესახებ, ინფორმაციის მომზადება და მიწოდება, ამ მიზნით კომპეტენტურ ინსტიტუტებთან და სპეციალისტებთან თანამშრომლობა; საქართველოს მთავრობის და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების განხორციელების ხელშეწყობა; სოფლის მეურნეობის სფეროში საინვესტიციო პროექტების განხორციელების ხელშეწყობა და დაინტერესებულ პირთა საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფა; ბუნებრივი რესურსების სარგებლობისას სახელმწიფო კონტროლის განხორციელების პროცესში გარემოს დაცვისა და პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისას შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურებისათვის დახმარების აღმოჩენას და მათთან ურთიერთთანამშრომლობას კანონდარღვევების თავიდან აცილების მიზნით; სამართალდარღვევის ოქმის ფორმის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^2 და 152^2 მუხლების საფუძველზე.’’

2. დებულების მე-3 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ქვეპუნქტები:

ა) ,,$მ^1$’’-ქვეპუნქტი:

,,$მ^1$) სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ სარგებლობაში გაცემული ქონების ქირის გადახდის ყოველთვიური მონიტორინგი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.’’

ბ) ,,$მ^2$’’-ქვეპუნქტი:

,,$მ^2$) სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ სარგებლობაში გაცემული ქონების

ხელშეკრულების პირობების მონიტორინგი.''

გ) ,,$მ^3$''-ქვეპუნქტი:

,,$მ^3$) ქირის გადაუხდელობის ან/და ხელშეკრულების სხვა პირობების დარღვევის შემთხვევაში მოსარგებლის გაფრთხილება, როგორც წერილობითი მიმართვით, ასევე კომუნიკაციის სხვა საშუალებებით.''

დ) ,,$მ^4$''-ქვეპუნქტი:

,,$მ^4$) სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ სარგებლობაში გაცემული ქონების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების, მათ შორის ქირის გადაუხდელობის, შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტის წინადადების და საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენა.''

ე) ,,$მ^5$''-ქვეპუნქტი:

,,$მ^5$) სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ პირობებით პრივატიზებული ქონების საპრივატიზაციო პირობების მონიტორინგი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი დარგობრივი სამსახურის/სამსახურების ჩართულობით.''

ვ) ,,$მ^6$''-ქვეპუნქტი:

,,$მ^6$) სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ პირობებით პრივატიზებული ქონების საპრივატიზაციო პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტის წინადადების და საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენა.''

3. ა) დებულების მე-4 მუხლის ,,კ''-ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

,,კ) ზედამხედველობას მუნიციპალური ქონების დაცვაზე, მოვლა-პატრონობაზე, მართლზომიერ სარგებლობასა და განკარგვაზე;

ბ) დებულების მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის:

ბ.ა) ,,$ს^1$''-ქვეპუნქტი:

,,$ს^1$) სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ სარგებლობაში გაცემული ქონების ქირის გადახდის ყოველთვიური მონიტორინგი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.''

ბ.ბ) ,,$ს^2$''-ქვეპუნქტი:

,,$ს^2$) სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ სარგებლობაში გაცემული ქონების ხელშეკრულების პირობების მონიტორინგი.''

ბ.გ) ,,$ს^3$''-ქვეპუნქტი:

,,$ს^3$) ქირის გადაუხდელობის ან/და ხელშეკრულების სხვა პირობების შემთხვევაში მოსარგებლის გაფრთხილება, როგორც წერილობითი მიმართვით, ასევე კომუნიკაციის სხვა საშუალებებით.''

ბ.დ) ,,$ს^4$''-ქვეპუნქტი:

,,$ს^4$) სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ სარგებლობაში გაცემული ქონების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების, მათ შორის ქირის გადაუხდელობის,

ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტის წინადადების და საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენა.''

ბ.ე) ,,ს5''-ქვეპუნქტი:

,,ს5) სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ პირობებით პრივატიზებული ქონების საპრივატიზაციო პირობების მონიტორინგი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი დარგობრივი სამსახურის/სამსახურების ჩართულობით.''

ბ.ვ) ,,ს6''-ქვეპუნქტი:

,,ს6) სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ პირობებით პრივატიზებული ქონების საპრივატიზაციო პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტის წინადადების და საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენა.''

აზრი გამოთქვა: ტარიელ ცომაიამ.

ტარიელ ცომაია - დადგენილებაში ცვლილებები გამოწვეულია იქედან, რომ 2016-2017 წლებისა და და 2019-2022 წლების აუდიტის დასკვნაში იყო ერთი და იგივე ხარვეზი, რომელიც ეხება საიჯარო თანხების პრობლემას. ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიაზე, აუდიტის დასკვნის განხილვის დროს, მოვიწვიეთ საფინანსო-საბიუჯეტო, ქონების და იურიდიული სამსახურის წარმომადგენლები და აღმოჩნდა, რომ ამ სამსახურებთან დებულებით იყო ცოტა გაურკვევლობა. ანუ კონტროლის მექანიზმი იყო ოდნავ მოსუსტებული. ამ დადგენილებით, დღეს ჩვენ ვცდილობთ, რომ ეს კონტროლის მექანიზმი გავზარდოთ და შესაბამისად გაიზარდოს ერთმანეთთან კომუნიკაცია. დებულების შესაბამისად, ვალდებულებას იღებს საფინანსო სამსახური, რათა მიაწოდოს ინფორმაცია ყველა თვეში გადახდების შესახებ. მთლიანი მონიტორინგი გადადის ქონების სამსახურზე და პასუხისმგებლობა უფრო მეტი ეკისრება ამ სამსახურს. შესაბამისად მინდა მივმართო ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრებს, რომ ჩვენ გვეზრდება სამეთვალყურეო ფუნქცია. საიჯარო საკითხებთან დაკავშირებით გვაქვს 200 ათ. ლარამდე თანხები ამოსაღები, რომელიც მოხმარდება მუნიციპალიტეტში არსებულ სხვადასხვა პრობლემების მოგვარებას.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 33-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (33 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და

სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი. კერძოდ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის:

ა) ,,კ^{1}''-ქვეპუნქტი:

,,კ^{1}) დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელად აღრიცხვის მიზნით წერილობითი ფორმით ინფორმირებას და დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელად აღრიცხვას.''

ბ) ,,კ^{2}''-ქვეპუნქტი:

,,კ^{2}) დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელად აღრიცხვის ან დასუფთავების მოსაკრებლის გადაუხდელობის პირობების დარღვევის შემთხვევაში, დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელის გაფრთხილებას, როგორც წერილობითი მიმართვით, ასევე კომუნიკაციის სხვა საშუალებებით.''

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 33-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (33 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მერიის დებულებაში გაერთიანდა ზემოთ აღნიშნულ დებულებებში განსახორციელებლი ცვლილებები.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 33-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (33 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 6 ოქტომბრის №34 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე''.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, **2022 წლის 16**

მარტის N62-622207541 , **წერილობითი** მომართვა, რომელიც ეხება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 6 ოქტომბრის №34 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხს. ,,საჯარო სამსახურის შესახებ'', საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ადგენს საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ნორმატიული აქტების შესახებ", საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ''-ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 6 ოქტომბრის №34 დადგენილება. (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებ-პორტალი, 08. 10. 2014. სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.120.016135).

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 33-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (33 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 6 ოქტომბრის №34 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე''.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის X საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის "სახლი თანადგომა"_ს ,2022 წლის კვების პროდუქტების კვირეული ნორმების დამტკიცების შესახებ''.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, **2022 წლის 17 მარტის** N62-622207643, **წერილობითი** მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა.)ი.პ „სახლი თანადგომა"-ს მიერ წარმოდგენილ უფასო სასადილოს, 2022 წლის კვების პროდუქტების ნორმების დამტკიცების საკითხს.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესბამისი განკარგულების პროექტი. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გასულ წელთან დაკავშირებით გაზრდილია, გამრავალფეროვნებული და გამდიდრებულია უფასო სასადილოს მენიუ.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 33-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (33 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის "სახლი თანადგომა"_ს, 2022 წლის კვების პროდუქტების კვირეული ნორმების დამტკიცების შესახებ''.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია
კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი